ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1865254

ნომერი: AR1304620

თარიღი : 26.04.2015

გაცემის თარიღი : 29.04.2015

გაცნობის თარიღი : 29.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ახუნდოვი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ქსოვრელი პ/ნ 35001111313
- რუსთავი ზ.ფალიაშვილის ქ. კორ. 5 ბ. 114

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N 3–ში, საჩრდილობელის კონსტრუქციის მოწყობის საკითხს.
გაცნობებთ, რომ განცხადება არასწორი ნომენკლატურით არის წარმოდგენილი, 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N 3–ის მისამართზე ირიცხება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობა–ნაგებობა. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტები არ ექვემდებარება I კლასის შესაბამის განხილვას. საჭიროა საკითხი შესაბამისი ნომენკლატურით იყოს წარმოდგენილი. აგრეთვე გაცნობებთ რომ სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგინილი არსებული ფოტოდოკუმენტაცია ახლო-და შორი ხედით და ასევე მასზე დამუშავებული საპროექტო მონტაჟი პარამეტრების მითითებით, აგრეთვე უნდა იყოს წარმოდგენილი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი AR1304620, 26/04/2015 განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.